დამატებითი (Minor) სპეციალობა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

მიზანი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის, როგორც დამატებითი სპეციალობის მიზანია სტუდენტს შესაძლებლობა მისცეს:

- გაიაროს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მოკლე (60 კრედიტიანი) კურსი, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს დამატებითი სპეციალობა (Minor);
- დაეუფლოს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ მეცნიერულ აზროვნებას; გამოიმუშაოს გეოგრაფიულ სალიტერატურო, სტატისტიკურ და სხვა სახის წყაროებთან მუშაობის ჩვევები; განავითაროს მოვლენებისა და პროცესების სივრცით-ტერიტორიული ანალიზისა და შეფასების უნარი;

შედეგები

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დამატებითი (Minor) სპეციალობა სხვა სოციალური და პოლიტიკური სპეციალობების წარმომადგენლებს დაეხმარება დაეუფლონ ამ დარგში დაგროვილი მეცნიერული ცოდნას, მისი კვლევის მეთოდიკას და გამოიყენონ ისინი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ტერიტორიული თავისებურებების გამოვლენაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება და დასაქმების სფერო

საზოგადოებრივი გეოგრაფიის Minor საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს აკადემიურ საფუძველს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრატურაში, ხოლო სტუდენტები, რომლებიც გაივლიან საზოგადოებრივი გეოგრაფიის დამატებით პროგრამას პროფესიული საქმიანობის შეიძლება გააგრძელონ სამთავრობო ორგანიზაციებში (მათ შორის დიპლომატიური სამსახურებში); საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სტრუქტურები.

მიღების წინაპირობები - საზოგადოებრივი გეოგრაფიის Minor საბაკალავრო პროგრამაში მიღებას არ გააჩნია წინაპირობები.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა *პირობითად* შეიძლება გაიყოს სავალდებულო და არჩევით მოდულებად. Minor-ის შესასრულებლად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 40 კრედიტი სავალდებულო კურსების, ხოლო 20 კრედიტი არჩევითი კურსების ჩაბარების მეშვეობით.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც დამატებითი (Minor) სპეციალობის კურიკულუმი

მოდული/კურსი	ფორმა	სტატუსი	დონე	საშემოდგომო	საგაზაფხულო	კრედიტი
სავალდებულო კურსები:			**I-II**			**40**
საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	ლექ/სემ	სავალდებულო	I	X ან	X	5
მოსახლეობის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II	X		10
ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები, მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II	Xან	X	10
ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II		X	10
საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III	Xან	X	5
არჩევითი კურსები:			**II-III**			**20**
მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	II	Xან	X	10
კულტურის გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	II		X	5
შესავალი გეოინფორმაციული სისტემებში	ლექ/სემ	არჩევითი	II		X	5
სოციალური და ეკონომიკური კარტოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	II	X		5
ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III	X		10
ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III	Xან	X	10
პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III		X	5
მსოფლიოს ქალაქები: გეოურბანისტიკის საფუძვლები	ლექ/სემ	არჩევითი	III	X		5
ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა	საველე პრაქტიკა	არჩევითი	II		X (ივლისი)	5
რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა	საველე პრაქტიკა	არჩევითი	III		X (ივლისი)	5
სულ						**60**

შენიშვნა: კურიკულუმში მოცემული III დონის საგნების გავლის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კურსი "საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი". I და II დონის საგნების გავლას წინაპირობა არ გააჩნია.